

საყვარელნო მკითხველნო!

(1860 წელი)

გთხოვთ მიცნობდეთ. მე გახლავართ ერთი მეზუკეთაგანი - „ქუთაისის მეჭორე“. ამდენ ხანს მეძინა, მაგრამ თავადის ა.ვ .ჯამბაკურიან -ორბელიანოვის ხმამ გამაღვიძა.

ახალ ნამძინარეზე ბულვარზედ გავედი, ვსთქვი სიო მარგებდა. შევედი კარებში და სიარული დავიწყე. წინ რომ გავიხედე, ორი ქალის მეტი არავინ არ მოდიოდა, იმ ქალთ ერთი კავალერი მოჰყვებოდა, ამ ორ ქალსა და კაცს მთელი ბულვარის გზა დაეჭირათ.

თქვენ იცით, რომ ნამძინარევი კაცის ფიქრი ცოტათი დაბნეულია, რაღასაც ვფიქრობდი, მგონია სიზმარს ვიხსენებდი. ამ დროს კაცი დამეტაკა, მე მოვბრუნდი და მეორე გზით დავიწყე სიარული. რამდენი ქალიც შემომეყარა, ყველას რაღაც რგოლებიანი კაბები ეცვათ. მე ანწლის რგოლები მეგონა. სახლში რომ მივედი, ვიკითხე რა არის ის რგოლები მეთქი? მითხრეს - ხაზარდა არისო.

ამ დროს ჩვენი საყვარელის მოლაყბის წიგნი მოგვივიდა ხაზარდის შესახებ. მეც დავჯექი და პატარა წიგნი დავსწერე ხაზარდაზე.

იმ წიგნს რომ ვსწერდი, მეძინებოდა. ეხლაც მეძინე... მშვიდო...

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელს სავანის საჯარო სკოლის მოსწავლემ **ნინო გულიაშვილმა**

12 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში